186/2. №2270

# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 137. ხუთშაბათი, 24 ივლისი 1903 წ. გაზეთის № 2216.

4/F+ 87

## ჩემი თანამგზავრი

(ერთის მოგზაურობის ისტორია)

მ. გორკისა.

I

ოდესის ნავთ-სადგურში შევხვდი. სამის დღის განმავლობაში ჩემს ყურადღებას იქცევდა იმისი ჯმუხი, ჩასხმული მოყვანილობა და ლამაზ წვერით შემკობილი კავკასიურ ტიპის სახე. მთელის საათობით იდგა ხოლმე ბოგირის ჯავარიანს ქვაზედ, პირში ჯოხის თავი ჩაეჩარა და შავის თვალებით ნაღვლიანად სინჯავდა ნავთ-სადგურის მღვრიე წყალს. დღეში ათჯერ მაინც



ნაპოლეონს ხელში საწამლავი უჭირავს.—სურ. ბეკკერისა.

უნდა გაევლო ჩემ წინ. ამ დროს სიარული დაუდევარ, უზრუნველ ადამიანისა ჰქონდა. ვინაა ნეტა? თვალის დევნა დავუწყე. იგი კი, თითქოს ჩემი გაჯავრება უნდაო, უფრო-და-უფრო ხშირად მხვდებოდა. ბოლოს მივეჩვიე და კარგად ვარჩევდი იმის ნაქსოვს, კოპწია, ფერადს ტანისამოსს და შავს ქუდს, იმის ზარმაც სიარულს და მოწყენილს შეხედულებას. ძნელი მისახვედრი იყო, რა უნდოდა აქ, ნავთ-სადგურში, სადაც გემთა და ორთქლ-მავალთა დაუსრულებელი ხმაურობა იყო, ჯაჭვების ჩხარა-ჩხური, მუშების ყვირილი, გაცოფებული მიხლა-მოხლა და არეულ-დარეულობა, რაიცა აქ მყოფ ადამიანს ჭკუას და ძარღვებს უჩლუნგებს. ნავთ-სადგურის ხალხი უზარმაზარ მანქანების მონად გამხდარიყო. ეს მანქანები თხოულობდნენ განუწყვეტელ ყურადღებას და მუშაობას. ხალხი ორთქლმავალებსა და ვაგონებს ახლო დაფუსფუსებდა. ყველას საზრუნავი ჰქონდა, ყველა მოქანცულიყო. სცლიდნენ და ჰტვირთავდნენ ვაგონებს, მტვერში მოსვრილნი და გაოფლიანებულნი დარბოდნენ, ჰყვიროდნენ, ილანძღებოდნენ... და, აი, ამ შრომის სამეფოში ნელა დაბრძანდებოდა ეს უცნაური არსება, მკვდარსავებრ მოწყენილი სახე მიელო და ყველაფერს გულგრილად უმზერდა.

მეოთხე დღეს, სადილობისას, ხელ-ახლა წავაწყდი. გადავწყვიტე, რადაც უნდა დამჯდომოდა, გამეგო, ვინ იყო იგი. პური და საზამთრო მივიტანე და იმის შორი-ახლოს მოვიკალათე. ვჭამდი, თან იმას ვათვალიერებდი და ... უფრო

...ი.

...ულიყო,

...თითქოს

... აყო-

...

მეცვა,

...ებული

... ზურგ-

...მაურე-

...გაკვირ-

...და იმისი

...ა ხარბ,

... უეჭვე-

... სწრა-

...

...შენახუ-

...ეთ გა-

...

მაშინ

...აჭერი.

...საქონ-

...ი თავი

...ექცია

...ებული

... ერთ

წუთს არ შეუჩერებია პირი, თან თვალით მანიშნებდა. მეც ვანიშნე, მოიცადე-მეთქი. წაველი ხორცის სასყიდლად, ვიყიდე, მოვიტანე, მივეცი და ყუთებ შუა ისეთ ალაგას გავჩერდი, რომ გარეშე თვალთათვის სრულიად დავფარე საბრალო კოხტა-პრუწა. სჭამდა და თან მტაცებელივით იყურებოდა აქეთ-იქით, თითქოს

შინიან, არავინ წამართვას ნაჭერიო. ეხლა უფრო დამშვიდებით სჭამდა, მაგრამ მაინც ისე სწრაფად, რომ გული მტკიოდა, ამ რიგად მომშეულ ადამიანს რომ ვუცქეროდი. ამის გამო ზურგი შევაქციე.

მადლობელი ვარ, ძალიან მადლობელი!—მხარზედ ხელი დამკრა, შემდეგ ხელში ხელი მტაცა, მომიჭირა და მაგრად შეანძრია.

ხუთის წამის შემდეგ თავის ვინაობასაც მომიყვა:

— მე ქართველი ვარ, თავადი შაქრო ფთაძე. მამა ჩემი მდიდარი ქუთაისელი მებატონეა და ჩემს მეტი ვაჟი არა ჰყავს. ამიერ-კავკასიის რკინის გზის ერთს სადგურზედ გამგებლად ვმსახურებდი და ერთს ამხანაგთან ვცხოვრობდი. ამხანაგმა ფული და ძვირფასი ნივთები მომპარა და სადღაც გადაიმალა და აი, იმის საძებნელად ვარ წამოსული. შემთხვევით გავიგე, რომ ბილეთი ბათომამდე აუღია. გავწიე ბათომისკენ, მაგრამ იქ მითხრეს, შენი ამხანაგი ოდესისკენ წავიდაო. მაშინ ჩემს ამხანაგსავე, დალაქს ვანო სვანიძეს, ბილეთის ფული გამოვართვი და ოდესისკენ გამოვეშურე. ვანო სვანიძე ჩემი ტოლია, თუმცა სახით არა ჰგავს. აქ განვუცხადე პოლიციას ჩემი თავგადასავალი. შემპირდნენ, გიპოვნითო. ორი კვირა ვუცადე, რაც ფული მქონდა შევჭამე და, აი, მეოთხე დღეა პირში ნამცეცი არ ჩამსვლია.

გულ-წრფელად ლაპარაკობდა. შიგა-და-შიგ ლანძღვას ურევდა. მივჩერებოდი და ვუსმენდი ლაპარაკს, ვერწმუნებოდი იმის სიტყვებს და თან მეცოდებოდა ეს ბავში. იგი ჯერ კიდევ ბავშვი იყო: მეოცე წელიწადში იყო გადამდგარი. ალალ-მართლობით კი უფრო ნაკლების ხნისა გეგონებოდათ. მალ მალ და გულდაწყვეტილი იგონებდა, თუ რა დიდი მეგობრები იყვნენ ისა და იმისი ქურდი ამხანაგი, რომელმაც ისეთი ნივთები მოჰპარა, რომ, თუ არ აღმოჩნდა, შაქროს მამა უეჭველად ხანჯლით ყელს გამოსჭრის. ამას თუ არ დავეხმარე, ეს ხარბი ქალაქი სისხლს გამოსწოვს-მეთქი, გავიფიქრე. ვიცოდი, ხან-დახან რა უმნიშვნელო შემთხვევაა საკმაო, რომ კაცი მაწანწალათა წრეში მოჰყვეს. ხოლო შაქროს ყველაფერი ხელს უწყობდა,

ნა. ვამტკიცებდი—იმისთვის შველა საჭიროა-მეთქი, მაგრამ უარს მეუბნებოდნენ. შაქროს ვუთხარ, წადი პოლიციის უფროსთან და ბილეთი სთხოვე-მეთქი, მაგრამ უარი მითხრა, რადა? თურმე ნუ იტყვით, სახლის ქირა ჯერაც არ მიუცია. როდესაც შაქროს სახლის პატრონმა ფული მოსთხოვა, თავადმა ვიღაცას გაარტყა მუშტი. მას აქეთ იგი დამალულა და ეხლა დარწმუნებულია, რომ პოლიცია მადლობას არ ეტყვის. ნამდვილად აღარც კი ახსოვს, რამდენი მუშტი მიაყოლა.

ჩვენი მდგომარეობა უფრო და უფრო რთულდებოდა. გადავწყვიტე, მემუშავნა იმდრომდე, ვიდრე ავიღებდი ბათომამდე წასასვლელ ბილეთის ფასს, მაგრამ ვაი, რომ ძალიან გვიან იქნებოდა, რადგან დამშეული შაქრო სამისოდენასა სჭამდა. რადგან იმ დროს „დამშეული“ ხალხი ბევრი მოაწყდა ნავთსადგურს სამუშაოდ, დღიურმა ქირამ ძალიან დაიწია. დღეში ოთხ აბაზს ვიღებდი, აქედან ორივენი სამ აბაზს ვჭამდით. წინად, ვიდრე თავადს შევხვდებოდი, გადაწყვეტილი მქონდა ყირიმში წასვლა: არ მინდოდა ოდესსაში დიდ ხანს დავრჩენილიყავ. ვუთხარი შაქროს, წამომყოლოდა ფეხით. დავდეთ შემდეგი პირობა: თუ ვიპოვნიდი ვისმეს ტფილისამდე იმის თანამგზავრს, ჩვენ უნდა ერთმანეთს განვშორებოდით, თუ არა და ტფილისამდე უნდა წავყოლოდი.

თავადმა დაიხედა თავისს კოხტა წაღებზედ, ქუდზედ, შარვალზედ, დაფიქრდა, რამდენჯერმე ამოიოხრა და ბოლოს დამთანხმდა. და ოდესიდან ტფილისისაკენ ფეხით გავწიეთ.

II

ხერსონში რომ მივედით, ჩემს თანამგზავრს უკვე ვიცნობდი, როგორც გულწრფელს, ველურს, ძალზედ განუვითარებელს, მხიარულს—როდესაც მაძღარი იყო, მოწყენილს—როდესაც მშიერი იყო, ძლიერს და გულ-კეთილს არსებას. გზაში მელაპარაკებოდა კავკასიის შესახებ, ქართველ მებატონეთა ცხოვრებისა, გართობისა და გლეხებთან დამოკიდებულების შესახებ. იმისი ნაამბობი საყურადღებო იყო და არც თავისებურ სილამაზეს იყო მოკლებული. ამ ამბებიდან სჩანდა, რა

[illegible].—სურ. [illegible]

რომ თავი ამოეყო ამ პატივსაცემ, მაგრამ არა პატივცემულს წოდებაში. იმისი დახმარების სურვილი აღმეძრა. რადგან ხელფასი იმდენი არა მქონდა, რომ ბათომამდე ამეღო იმისთვის ბილეთი, კანტორები დავიარე, რომ უფასო ბილეთი გამომეთხოვ-

ცუდი შეხედულება ჰქონდა ზოგიერთს საგანზედ. მიამბო, მაგალითად, შემდეგი შემთხვევა:

იყო ერთი მდიდარი თავადი. ერთხელ ამ თავადმა მეზობლები მიიწვია მეჯლისზე. ბევრ გვარი საჭმელი ჰქონდა

პური, ლავაში, მწვადი, ფლავი. ღვინოც კარგად სვეს. სადილთუკან მასპინძელმა თავლაში შეიყვანა სტუმრები. შეკაზმეს ცხენები. თავადმა აარჩია საუკეთესო და გაჰკურცხლა




პატარა მუშები.—სურათი კაულბახისა.

მინდვრისკენ. ძალიან ფიცხი ცხენი იყო. სტუმრები აქებდნენ იმის მოყვანილობას და სიმკვირცხლეს. დაჰქრის თავადი. მაგრამ, აგერ, ისკუპა თეთრმა მერანმა, ზედა ზის გლეხი, გამოუყენა თავადის ცხენს და გაუსწრო... გაუსწრო და ამაყად დაიწყო სიცილი. თავადს შერცხვა სტუმრებისა, წარბები შეიჭმუხნა, გლეხს ანიშნა, აქ მოდიო. გლეხი რომ მივიდა თავადმა ხმალი შემოჰკრა და თავი წააგდებინა. შემდეგ იმის ცხენს ყურში დამბაჩა დასცა და სული გააფთხობინა. წავიდა და ეს შემთხვევა თვით გამოუცხადა მთავრობას. სასამართლომ კატორგა გადაუწყვიტაო.

შაქრო ისეთის კილოთი ლაპარაკობდა, რომ თავადი ებრალებოდა. ვცდილობდი, დამემტკიცებინა, რომ აქ დასანანი არა იყო რა, მაგრამ იგი დარიგების კილოთი მეუბნებოდა:

— გლეხი ბევრია, თავადი-კი ცოტა. ერთის გლეხის გულისთვის თავადი სასამართლოში არ უნდა მიეცეს. რა არის გლეხი? ერთი მუჭა მიწაა. თავადი-კი ვარსკვლავთ დარია!

შევხირდით. შაქრო ჯავრობდა. ამ დროს იგი კბილებს მგელივით აღრჭენდა, სახეც უმწვეტდებოდა.

— მაქსიმ გაჩუმდი, შენ არ იცი კავკასიის ცხოვრება!—მიყვიროდა.

რაც უნდა დამესაბუთებინა ჩემი სიტყვა, იმასთან მაინც არა გამდიოდა-რა. რაც ჩემთვის დღესავით ცხადი იყო, იმას სასაცილოდ არა ჰყოფნიდა. ჩემის მსჯელობისა იმას არა ეყურებოდა-რა. როდესაც დავუმტკიცებდი, რომ ჩემი შეხედულება უფრო ჭეშმარიტი და უმჯობესია, იგი დიდხანს არ დაფიქრდებოდა და მეტყოდა ხოლმე:

— წადი კავკასიაში, იცხოვრე და ჰნახავ, რომ მართალი ვარ. ყველანი ეგრე სჩადიან, მაშასადამე, ეგრე უნდა. შენ ერთი ამბობ მხოლოდ, რომ ეგრე არ უნდაო, ათასი-კი გაიძახის, ეგრე უნდაო. რად უნდა გერწმუნო?

ამის შემდეგ გავჩუმდებოდი ხოლმე, რადგან მივხვდებოდი, რომ იმ გვარს ადამიანს, რომელსაც სწამს, რომ ცხოვრება ისე, როგორც იგი არსებობს, სრულიად კანონიერი და ჭეშმარიტია, პასუხი სიტყვებით კი არა, ცხოვრების ფაქტებით უნდა გასცე. მე ვსდუმდი, ისკი დღესასწაულობდა, რადგანაც ღრმად სწამდა, რომ იცნობდა ცხოვრებას და მიაჩნდა იგი სამართლიანად, ჭეშმარიტად, შეურხევლად. მე რომ გავჩუმდებოდი, ის უფრო ხმა მაღლა გააბამდა ლაპარაკს კავკასიის ცხოვრების შესახებ, რომელიც სავსე იყო ველურ სილამაზით, ცეცხლით და განსაკუთრებულის თვისებით. ეს ამბები თუმცა საყურადღებო იყო და მიტაცებდა, მაგრამ იმავე დროს მაშფოთებდა და მაშმაგებდა უდიერობითა და აგრეთვე იმითაც, რომ ძალისა და სიმდიდრ[illegible]ანისცემა იხატებოდა შიგა და აკლდა ის ყოველ ადამიანის სავ[illegible]ებული, რომელსაც ზნეობას ეძახიან. ერთხელ როგორღაც [illegible]ითხე, ქრისტეს სწავლა იცი მეთქი?

— ვიცი, მაშა!—მხრების აწევით მომიგო.

როდესაც გამოვკითხე, აღმოჩნდა, რომ მხოლოდ შემდეგი იცოდა: იყო ქრისტე, რომელიც წინააღუდგა ებრაელთა კანონებს და ამის გამო ებრაელებმა იგი ჯვარს აცვეს. მაგრამ იგი იყო ღმერთი და ამიტომ ჯვარზედ არ მოკვდა, არამედ ამაღლდა ზეცად. აი, მაშინ მისცა ხალხს ცხოვრების ახალი კანონი.

— როგორი?—ვკითხე.

დამცინავის ღიმილით შემომხედა და მკითხა:

— ქრისტიანი ხარ? მეც ქრისტიანი ვარ. დედამიწაზე თითქმის ყველანი ქრისტიანები არიან. მაშ რაღასა მკითხავ, ხომ ჰხედავ, როგორ სცხოვრობენ? აი, ეს არის ქრისტეს კანონი...

აღელვებულმა დავუწყე ქრისტეს ცხოვრების გადაცემა. პირველად ყურადღებით მისმენდა, შემდეგ თან-და-თან სხვაგან წაუვიდა ფიქრები და ბოლოს მთქნარება გააბა. როდესაც მივხვდი, რომ იმისი გული არ მისმენდა, ხელახლად მივუბრუნდი იმის ჭკუა-გონებას და დავუწყე ლაპარაკი ერთურთის შემწეობისა, ცოდნისა და კანონიერების სარგებლობაზე, ერთის სიტყვით, სარგებლობაზე გავაბი ლაპარაკი.

— ვინც ძლიერია, ის თავის თავისთვის კანონია! იმას არ ეჭირვება სწავლა, ბრმაც რომ იყვეს, გზას იპოვნის.—ზარმაცად მიპასუხა თავადმა შაქრომ.

შაქრო თავისს თავის ერთგული იყო. აი, ეს გარემოება იმის მიმართ პატივის ცემას აჩენდა ჩემს გულში. მაგრამ ამავე დროს იგი უდიერი იყო და ვგრძნობდი, რომ ხან-და-ხან ჩემში იფეთქებდა ხოლმე ნაპერწკალი მისადმი სიძულვილისა. მაგრამ იმედი მქონდა, რომ ვიპოვნიდი საერთო ნიადაგს, რომელზედაც შეგვეძლო შეთანხმება და ერთმანეთის გაგება.

უფრო მარტივად ვიწყე თავადთან ლაპარაკი. ვცდილობდი, იმის სულსა და გულში უფრო ღრმად ჩამეხედნა. ისა ჰხედავდა ჩემს ცდას და ალბად ჰფიქრობდა, ამის თვალში უფრო ავმაღლდიო, ამიტომ ლაპარაკში უფრო-და-უფრო უმატებდა მფარველობით კილოს. როდესაც ვხედავდი, რომ ჩემი საბუთები უსარგებლოდ იკარგებოდა და იგი ისევ თავისს აზრებზედ რჩებოდა, ვიტანჯებოდი.

პერეკოპი გავიარეთ და ყირიმის მთებს მივატანეთ. უკვე მეორე დღე იყო, რაც ამ მთებს ვხედავდით: მტრედის ფერად მოსჩანდნენ, თითქოს სუმბუქი ღრუბლებიაო. შორით შევტრფოდი და ვოცნებობდი ყირიმის სამხრეთის კიდის შესახებ. დაღვრემილი თავადი ქართულს სიმღერებს გასძახოდა. ფული სულ გამოგველია და ჯერ-ჯერობით სამუშაოც არსადა სჩანდა. ვისწრაფოდით თეოდოსიისკენ, სადაც იმ დროს ნავთ-სადგური შენდებოდა.

თავადი მეუბნებოდა, მეც ვიმუშ... და ფულს რომ ვიშოვნით, ბათომამდე ზღვით წავიდეთო. ათომში ბევრი ნაცნობი მყავს და ხელად გიშოვნი მეეზოვის, ან დარაჯის ადგილსაო. მხარზედ ხელს მცემდა, მფარველობით მელაპარაკებოდა და ტკბილად აწლაპუნებდა ენას.

— ისეთს ცხოვრებაში ჩაგაგდებ, წწ... წწ!.. ღვინო. ცხვრის ხორცი თავზედ საყრელი გექნება. სქელ ქართველ ქალს შეგრთავ ცოლად... ლავაშს გამოგიცხობს, ბევრს შვილებს გაგიზრდის... წწ... წწ...

ეს „წწ .. წწ!..“ პირველად მაკვირვებდა, მერე მაშფოთებდა, შემდეგ-კი გაშმაგებამდის მიმიყვანდა ხოლმე. რუსეთში ამ გვარად ღორებს ეძახიან ხოლმე, კავკასიაში კი ამითი გამოსთქვამენ ალტაცებას, სიბრალულს, კმაყოფილებას, ნაღველს.

შაქროს ტანისამოსი შემოეფლითა, წაღები ბევრს ალაგას დაუსკდა, ჯოხი და ქუდი ხერსონში გავყიდეთ. თავის ქუდის მაგივრად იყიდა რკინის გზის მოხელის ძველი ქუდი და, როდესაც პირველად კინკრიხოზე დაიდო, მკითხა:

— მიხდებაო?

ვ. გიუნაშვილი.

(შემდეგი იქნება)



სერბიის მოკლული დედოფლის დრაგას დები საზღვარ გარეთ, კორრესპონდენტების ხელში.—ისევ სერბიელების ხელში ყოფნა სჯობდა, კორრესპონდენტების გასაწეწად აქ წამოსვლას!



— სწორეთ მითხარ, ჰღალატობ შენ ქმარსა?
— მე არც ქმარსა ვღალატობ, არც პავლეს არც პეტრეს...



მეღორე.—მოდი შემირთე, რომ ჩამომავლობა დაგვრჩეს, იქნება როგორ გამოადგეს სამშობლოს?!..

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**

Доз. ценз. Тифлисъ, 22 Іюля 1903 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ისა.